საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა საქართველოში

2024 წელი

30.01.2025
www.geostat.ge

30.01.2025

უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა

(2024 წელი)

2024 წელს საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების[1] 7.4 მილიონი შემოსვლა, რაც 4.2 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. შემოსვლების უდიდესი ნაწილი, 44.7 პროცენტი, განხორციელდა 31-50 წლის მოგზაურების მიერ.

დიაგრამა №1

2023-2024 წლებში საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების შემოსვლების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



აღნიშნული რაოდენობიდან საერთაშორისო ვიზიტორების[2] მიერ განხორციელებული ვიზიტების[3] რაოდენობამ 6.5 მილიონი შეადგინა, რაც 4.6 პროცენტით მეტია 2023 წლის მაჩვენებელზე.

[1]ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის თანახმად, **მოგზაური** არის ნებისმიერი ასაკის პირი, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობითა და მიზნით.

[2]**ვიზიტორი** არის 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაური, რომელმაც განახორციელა ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით (გარდა შემდეგი კატეგორიებისა: დასაქმების მიზნით ჩამოსულები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური ან საკონსულო ოფიცრები, შეიარაღებული ძალების წევრები ან მათ კმაყოფაზე მყოფი პირები, აგრეთვე პირები, რომლებიც ხშირად კვეთენ საზღვარს).

[3]**ვიზიტი** არის ვიზიტორების გადაადგილება.

30.01.2025

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 2023-2024 წლებში საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების შემოსვლებისა და საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობას.

დიაგრამა №2

2023-2024 წლებში საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების შემოსვლებისა და საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა



2024 წელს საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 5.4 მილიონს მიაღწია, რაც 5.4 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე.

საანგარიშო პერიოდში, საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელდა 5.1 მილიონი ტურისტული ტიპის ვიზიტი, რაც 9.0 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილებას ვიზიტის ტიპის მიხედვით.

დიაგრამა №3

2023-2024 წლებში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება ვიზიტის ტიპის მიხედვით



საერთაშორისო ვიზიტორების 78.8 პროცენტი მხოლოდ ტურისტები[4] იყვნენ, მხოლოდ ექსკურსანტების[5] წილმა 17.2 პროცენტი შეადგინა, ხოლო ვიზიტორების 4.0 პროცენტი იყო როგორც ტურისტი, ასევე ექსკურსანტი.

ცხრილი №1

2023-2024 წლებში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების რაოდენობის განაწილება ვიზიტორის ტიპის მიხედვით, ათასი

	2023 წელი	2024 წელი
მხოლოდ ტურისტი	3 866.0	4 266.9
მხოლოდ ექსკურსანტი	1 069.2	930.9
როგორც ტურისტი, ასევე ექსკურსანტი	202.6	215.1
სულ	**5 137.8**	**5 412.9**

[4]**ტურისტი** არის ვიზიტორი, რომელმაც ღამე გაათენა საქართველოს ტერიტორიაზე.

[5]**ექსკურსანტი** არის ვიზიტორი, რომელიც ღამეს არ ათენებს საქართველოს ტერიტორიაზე.

30.01.2025

2024 წელს ვიზიტორების ყველაზე დიდი რაოდენობა, 1.2 მილიონი, დაფიქსირდა რუსეთის ფედერაციიდან, რაც ვიზიტორების ჯამური რაოდენობის 22.4 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზეა თურქეთი 19.0%-იანი წილით, ხოლო მესამეზე - სომხეთი 12.7%-იანი წილით. შესაბამისად, ვიზიტების ყველაზე დიდი რაოდენობა განხორციელდა რუსეთის ფედერაციის (1.4 მილიონი), თურქეთისა (1.3 მილიონი) და სომხეთის (0.9 მილიონი) მოქალაქეების მიერ.

დიაგრამა №4

2023-2024 წლებში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება ვიზიტორების მოქალაქეობის ქვეყნის მიხედვით



*იგულისხმება საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც სხვა ქვეყნის რეზიდენტები არიან.

ვიზიტორების უმრავლესობა, 47.3 პროცენტი, მიეკუთვნებოდა 31-50 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას, ქალების რაოდენობა კი მთლიანი ვიზიტორების რაოდენობის 41.8 პროცენტს შეადგენდა.

დიაგრამა №5

2024 წელს საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



ცხრილი №2

2024 წელს საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების რაოდენობის განაწილება სქესის მიხედვით, ათასი

	რაოდენობა	%
კაცი	3 150.0	58.2
ქალი	2 262.9	41.8
სულ	**5 412.9**	**100.0**

2024 წელს ყველაზე მეტი ვიზიტი, 51.9 პროცენტი, განხორციელდა დასვენების, გართობისა და რეკრეაციის მიზნით.

ცხრილი №3

2024 წელს საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით, ათასი

	რაოდენობა	%
დასვენება, გართობა, რეკრეაცია	3 351.7	51.9
მეგობრების/ნათესავების მონახულება	1 470.0	22.8
ტრანზიტი სხვა ქვეყანაში გადასასვლელად	831.5	12.9
პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა	368.9	5.7
შოპინგი	307.6	4.8
მკურნალობა, გაჯანსაღება	24.6	0.4
სხვა	101.9	1.6
სულ	**6 456.1**	**100.0**

ვიზიტების უმრავლესობა განხორციელდა თბილისსა და აჭარის ა/რ-ში, შესაბამისად, 3.4 მილიონი და 2.5 მილიონი ვიზიტი. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ვიზიტების რაოდენობის პროცენტულ განაწილებას მონახულებული რეგიონების მიხედვით.

30.01.2025

დიაგრამა №6

2024 წელს საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით



2024 წელს განხორციელებული ვიზიტებისას გათეული ღამეების საშუალო რაოდენობამ 5.5 ღამე შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე (5.4 ღამე) 2.6 პროცენტით მეტია.

განხორციელებული ვიზიტების 76.0 პროცენტი წარმოადგენდა განმეორებითი ხასიათის ვიზიტს. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 2024 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის პროცენტულ განაწილებას კმაყოფილების დონის მიხედვით.

30.01.2025

დიაგრამა №7

2024 წელს საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება კმაყოფილების დონის მიხედვით



30.01.2025

2024 წელს განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული ხარჯები 14.3 მილიარდ ლარს გაუტოლდა, რაც 10.3 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. ვიზიტზე საშუალო ხარჯი 2023 წელთან შედარებით 5.4 პროცენტით გაიზარდა და 2 211.2 ლარი შეადგინა.

ცხრილი №4

2024 წელს საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ გაწეული ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით

	ხარჯი (მლნ. ლარი)	%	საშუალო ხარჯი ვიზიტზე (ლარი)
განთავსება	4 807.9	33.7	744.7
საყიდლები	3 436.2	24.1	532.3
საკვები და სასმელი	3 193.4	22.4	494.6
გასართობი, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები	1 548.8	10.8	239.9
ადგილობრივი ტრანსპორტი	1 139.8	8.0	176.5
სხვა	149.2	1.0	23.1
სულ ხარჯი	**14 275.4**	**100.0**	**2 211.2**

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: 2 36 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge